ეროვნული ბიბლიოთეკა

დროება

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 118. კვირა, 31 მაისი 1909 წ. დამატების № 21.

ოცნებანი.

ოლივიე შრეინერისა

I.

სიზმარი გარეულ ფუტკრებზე

(ვუძღვნი ნინოს)

დედა მარტო იჯდა გაღებულ ფანჯარასთან. მას ესმოდა ხის ქვეშ მოთამაშე ბავშვების ხმები და ჰგრძნობდა შუადღის გავარვარებულ ჰაერის პაპანებას. ფანჯარაში წამდა-უწუმ შემიფრინდებოდნენ და გაფრინდებოდნენ ხოლ-

დრამატურგი და არტისტი ა. სუმბათაშვილი

(მის ახალ პიესის წარმოდგენის გამო)

მე გარეული ფუტკრები, რომელთაც ყვავილების მტვრისაგან ფეხები ყვითლები ჰქონდათ. დედა მაგიდასთან იჯდა დაბალ სკამზე და ჰკერავდა. სამუშაო მაგიდაზე მდგომ დიდ გიდელიდან ამოიღო: სამუშაოს ნაწილი მუხლებზე ჩაუცურდა **და** გადაეფარა ძირს დადებულ წიგნს. ქალი თვალს ადევნებდა ნემსის მსწრაფლ გაყრა-გამოყრასა რაც. უფრო მეტი დრო გადიოდა მუშაობაში, მით უფრო და უფრო ფუტკრების მოსაწყენი ზუილი და ბავშვების ხმაურობა რაღაც გაურკვეველ გუგუნად ესმოდა. ახლა ამ კრაზანის მაგვარმა, თაფლის არ მკეთებელმა არსებებმა იწყეს ზუილი ქალის თავთან. უფრო და უფრო უახლოვდებოდნენ. ქალს კი უფრო და უფრო ეკიდებოდა ძილი. ველარ შეიკავა თავი, სამუშაოთი ხელში დაეყრდნო მაგიდის კუთხეს და თავი ხელზე დასდო. ბავშვების ხმები უფრო მიყრუვდნენ. ბოლოს დედას სულ აღარაფერი ესმოდა იმათი. მხოლოდ ჰგრძნობდა ახალ არსების ტოკვას, რომელსაც ატარებდა თავის მშვენიერ მკერდის ქვეშ. ჩაეძინა და ფუტკართა ზუილში ესიზრმა სიზმარი. ისე ეჩვენებოდა, თითქო ფუტკრები გრძელდებოდნენ, გრძელდებოდნენ, იქცეოდნენ ადამიანის მსგავს არსებებად და გარს ეხვეოდნენ.

ერთი მათგანი მიუახლოვდა ქალს და სთქვა:

— ნება მიბოძე, დავადო ხელი იმ ადგილს, სადაც განცხრომაშია ბავშვი. თუ მე შევეხები, იგი ჩემისთანა იქნება.

— ვინა ხარ? — ჰკითხა დედამ.

— მე **ჯანმრთელობა** ვარ. ვისაც მე შევეხები, იმას ყოველთვის ძარღვებში უდუღს წითელი სისხლი, იმან არ იცის არც დაღლილობა, არც ტკივილი და სიცოცხლე იმისთვის წარმოადგენს ერთ გრძელ დღესასწაულს.

— არა, — სთქვა მეორე არსებამ:—ნება მომეცი მე შევეხო: მე **სიმდიდრე** ვარ. თუ შევეხები, იგი თავის დღეში არ გამოსცდის გაჭირვებას. თუ მოისურვებს, სხვა ადამიანების ნაშრომით იცხოვრებს და ყველაფერი, რასაც კი მოისურვებს, ხელმისაწდომი იქნება იმისთვის. იგი არასდროს არ იხილავს ნაკლულევანებას.

ბავშვი გაუნძრევლად იყო.

მაშინ გაისმა მესამის ხმა:

— მომეცი, მე შევეხები: მე **დიდება** ვარ. ჩემ მიერ არჩეულ ადამიანს ავიყვან ისეთ სიმაღლეზე, სადაც ყოველი ადამიანი დაინახავს. სიკვდილის შემდეგ ამისთანას არ ივიწყებენ, მისი სახელი მთელი საუკუნოები სცოცხლობს, ერთი საუკუნე გადასცემს მეორეს. წარმოიდგინე, მთელი საუკუნოები არავინ დაგივიწყოს!

არტისტი ქალი დავითაშვილი

(მის გასტროლების გამო ტფილისში)

დედა განაგრძნობდა მშვიდად სუნთქავს, მოჩვენებანი კი სულ უფრო ახლო და ახლო ეხვეოდნენ გარს.

— მომეცი, მე შევეხო ბავშვს, — ჩაილაპარაკა **სიყვა-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულმა: — იგი მარტოკა არ დაჰლევს თავის სიცოცხლეს. როცა უკუნეთ სიბნელეში გაიწვდის ხელს, იგი შეეხება სხვა ხელს, და თუნდაც მთელმა სამყარომ შეაქციოს ზურგი, მოსიყვარულე ადამიანი ეტყვის „**შენ** და **მე**“.

და ბავშვი შეტოკდა.

ამ დროს მიუახლოვდა **ნიჭი** და სთქვა:

— არა, ნება მომეცი მე შევეხო: მე ყველაფერი შემიძლიან, რაც ძველად კეთებულა. მე ვევლინები მხედარს, სახელმწიფო მოღვაწეს, მეცნიერს, პოლიტიკოსს და ამათ ყველაფერი ემარჯვებათ; მწერალს, რომელიც არას დროს არ ჩამორჩება თავის დროს, წინ უსწრობს მას. თუ მე შევეხები ბავშვს, იგი თავის სიცოცხლეში არ გამოსცდის უიღბლობას.

დედის თავის გარშემო დაჰფრინავდნენ ფუტკრები და თავიანთ გრძელ და წვრილ პატარა ფეხებით ეხებოდნენ იმის თმებს. სიზმარშივე ოთახის ბნელ კუთხიდან გამოვიდა **ვილაცა** ავადმყოფ ყვითელ სახით, ღრმა ნაოჭებით, ჩაცვი-

ექიმი ლუკა ჯავახიშვილი.

(გარდაიცვალა 16 მაისს. იხ. „დრება,“ № 109)

ვნულ ლოყებით და მთრთოლარე ღიმილით ტუჩებზე. ხელები გაიწოდა.

დედა მოიბუზა და შეჰკივლა:

— ვინა ხარ?

უცნობი სდუმდა.

მაშინ დედამ ასწია თავი მაღლა, შეჰხედა ნახევრად მილულულ ქუთუთოებს ქვეშ და სთქვა:

— რა შეგიძლიან მისცე ბავშვს? ჯანმრთელობა?

მან უპასუხა:

— იმ კაცის სისხლში, რომელსაც მე შევეხები, აღიგზნება დაუცხრომელი კოცონი, და იგი განიკურნება მხოლოდ სიკვდილით.

— სიმდიდრეს იძლევი?

მან თავი გაიქნივა:

— როცა ის, ვისაც მე შევეხები, დაიღუნება ოქროს ასაღებად, ერთბაშად ცაში, თავის თავის ასწვრივ, დაინახავს ნათელს და ამ ნათელის ყურებაში ოქრო გაუსხლტება ხელიდან, დედამიწაზე დაეცემა, გამვლელი აიღებს და მიითვისებს.

— დიდებას?

მან უპასუხა:

— არა მგონია ადამიანი, რომელსაც მე შევეხები, ვიდოდეს მისთვის ქვიშაზე აღნიშნულ გზით იმისთანა ხელისაგან, რომელიც ყოველ ადამიანისთვის უჩინარია. ხანდახან ეს გზა აიყვანს თითქმის მწვერვალამდე, მაგრამ მერე ერთბაშად დაეშვება ხეობაში. ჩემ მიერ არჩეული კაცი მოვალეა იაროს ამ გზით, სხვას არ შეუძლიან ინახულოს ეს გზა.

— სიყვარულს? — შეეკითხა დედა.

მაგრამ მან უპასუხა:

— მას ეწყურება სიყვარული, მაგრამ ვერ დაეწაფება. როცა იგი გაიწვდის ხელს, რომ მოეხვიოს სასიყვარულოს, მაშინ დაინახავს ცის ტატნობზე გამომკრთალ ნათელს. იგი მოვალეა იაროს იმ ნათელისკენ, ის კი ვინც უყვარს, არ მოისურვებს მასთან თანამგზავრობას და იძულებული იქნება იმოგზაუროს მარტომ. როცა იგი მიიკრავს რასმეს გულზე და იტყვის: „ჩემია, ჩემი!“ მოესმება ხმა: „უარ-ჰყავ! უარ-ჰყავ! ეგ შენი არ არის!“

— მას თან ახლდება გამარჯვება?

— მას შეემთხვევა უიღბლობა. შეჯახების დროს სხვები უფრო ადრე მიაღწევენ მიზანს; მას დაუწყებენ ძახილს საკვირველი ხმები, მიიზიდავენ საკვირველი ცეცხლები და იგი მოვალეა ყური ათხოვოს მათ. მაგრამ ყველაზე გასაკვირველი აი რა იქნება: შორს, შორს, ცხელ ქვიშარების გადაღმა, იქ, სადაც სხვებისთვის გადაჭიმულია მარტო დაუსრულებელი უდაბნო, ის დაინახავს ლურჯ ზღავს. ამ ზღვაზე ყოველთვის ანათებს მზე, წყალი საპფირის მსგავსად ბჭყვრიალებს; კიდეებს კიდევ ნაზად ეხება თეთრი ქაფი. ზღვიდან ამოწვდილია დიდებული ხმელეთი, რომლის მწვერვალოებზე იგი დაინახავს ოქროს თვალმომჭრელ ბრჭყვრიალს.

დედამ ჰკითხა:

— და ის მიაღწევს იმას!

„ვილაცა“ გაუგებრად გაიღიმა.

მაშინ დედამა სთქვა:

— ოქრო ნამდვილი იქნება?

მან ჩაილაპარაკა:

— რა არის ნამდვილი?

დედამ შჰხედა მის ნახევრად მოხუჭულს თვალებს და სთქვა:

— შეეხე!

იგი დაიღუნა, დაადო ხელი მძინარე ბავშვს და ღიმილით რაღაც ჩაიჩურჩულა. აი რას მოჰკრა დედამ ყური:

— იდეალი იქნება შენთვის სინამდვილედ.

ბავშვი შეფოფრთხიალდა; დედას მაგრა ეძინა და ოცნება იგი გაჰქრა, მაგრამ იმის საშოსი ჩასახულმა არსებამ ნახა სიზმარი, მისმა თვალებმა, რომელთაც არ უნახავთ დღე, ერთბაშად განიცადეს სინათლე. სინათლე არა დროს ნახული! სინათლე, რომლის ნახვასაც იქნება არ ეღირსოს იგი!

II.

სიხარულის ბაღი

როცა ქალმა აივსო ხელები ყვავილებით და მიდიოდა წალკოტით, საიდანღაც ტკბილ და მშვენიერ სურნელებას ჰგრძნობდა, — იმის წინ გაჩნდა **მოვალეობა** სახის მკრთალ მოხაზულობით და შეჰხედა. მოჰშორდა რა მას, ქალმა თავი დაანება ყვავილების კრეფას და პირისახეზე ღიმილის კრთომით გასწია წინ.

მაშინ მოვალეობა თავის დამშვიდებულ, ფერმიხდილ სახით კვლავ მივიდა ქალთან, შეჰხედა, მაგრამ ქალი გაბრუნდა **მოვალეობისაგან**. და ქალს დაუვარდა მიწაზე მოწყვეტილ ყვავილებიდან ყველაზე უმშვენიერესი.

კვლავ მიუახლოვდა იგი ქალს. ქალმა ამოიკვნესა და, თავდაღუნული, მიბრუნდა ჭისკრისკენ, მაგრამ როცა გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიოდა, მიჰხედა მზისაგან გახაშხაშებულ ყვავილების თავებს და მწარედ იწყო ქვითინი. მერე გამოვიდა იგი და ბაღის კარები საუკუნოდ დაიკეტა მისთვის; მაგრამ იმის ხელში ჯერ კიდევ აფრქვევდნენ მოწყვეტილი ყვავილები სუნს, რომელიც მეტად ტკბილია და სასიამოვნო უადამიანო უდაბნოში.

მაგრამ **მოვალეობა,** რომელიც უკან მისდევდა ქალს, კიდევ გადაეღობა გზაზე. ქალმა იცოდა, რისთვისაც მივიდა იგი: მან გაშალა თითები, გაუშვა ხელიდან ვარდები, რომელნიც ასე უყვარდა, და წავიდა წინ უვარდებოდ, მშრალის, ავადმყოფის თვალებით. მაშინ იგი მივიდა ქალთან უკანასკნელად, და აჩვენა ხელები, რომლებშიაც აღარა ჰქონდარა. მაგრამ სულ უყურებდა. ქალმა წვალებით გაიხსნა მკერდი, ამოიღო იქიდან პაწია დამალული ყვავილი და დასდო ქვიშაზე. ეხლა აღარაფრის მიცემა აღარ შეეძლო. ქალი განშორდა და იმის გარშემო დატრიალდა უდაბნოს ლეგა ლამის ბუღი.

ლ. მაზრელი.

ჭრული ბერას ომი ქისტებთან.

ხალხური

(ჩაწერილი სოფ. გოსტიბეში).

(შემდეგი *)

სწრაფად შეისხა ბერამა
მუზარაფი და აბჭარი,
ჩაიცვა ჯაჭვის პერანგი,
თავთ დაიხურა ჩაჩქანი;
წელზედ შეირტყა მახვილი,
ბასრი ხმალი და ხანჯალი,
აგრეთვე თოფი, დამბაჩა,
ომში რაც საჭირო არის.
მისვე სოფელში ნიშია,
წმინდა გიორგის საყდარი,
მის წინ იჩოქებს ბერაი,
მუხლის თავებზედ დამდგარი,
გვერდშივე ამოსდგომიან
ბერი დედ-მამა საწყალი:
„შენ დაახმარე ბერასა
ეგ შენი მკლავი მაგარი,
კვლავ შინ მოგგვარე უვნებლათ,
ბრძოლის ველიდან ნამგზავრი;
მაინც არ იშლი მისდიხარ,
მშვიდობით, შვილო, ბერაო,
მშობლების ლოცვა თან წაგყვეს,
უფლის წყალობაც შენაო“.
ბერამაც თავის დედ-მამას
მადლობა მოახსენაო
და იმ წამს მშობლებს გაშორდა,
პირჯვარი დაიწერაო.
ფიტურზედ გადაიარა,
გრილ წყაროს დაისვენაო,
ცოტა-რამ პური შეჭამა,
პირი წყლით გაისველაო;
ადგა და ეგრე იარა,
სწრაფად არ ნელა-ნელაო;
მეორე მთაზედ გადვიდა,
ამ დროს მზეც ჩაესვენაო.
სად დაულამდა, იქ დადგა,
დაწვა და მოისვენაო;
როგორც ბუმბულზედ, ეგრე წევს,
თვალნი ცას მიაჩერაო.
ცაზედ საათი ვერ ჰპოვა,
ცისკარმა გაათენაო;
მზისა შიკრიკმა ცისკარმა
მგზავრი გზას დააყენაო.

ვეფხვი მარდათა წამოხტა,
ხელით იფშვნეტავს თვალსაო;
მივიდა და ეამბორა
კლდეზე მომდინარ წყალსაო.
წყაროს წყალი სვა მთურადა,
სიცივით გულსა სწვამსაო;
წამოჯდა მუხლის თავებზედ,
მითვე პირს დაიბანსაო.
პირ-წაღმა დადგა, ლოცულობს,

გენერალი სნარსკი,
რუსის ჯარის უფროსი თავრიზში.

თვალნი მიაპყრა ცასაო,
ჯერ ღმერთს ევედრა და შემდეგ
თავიანთ სალოცავსაო;
ერთსა და იმავეს სთხოვდა
და არა სხვა და სხვასაო:
„წმინდა გიორგი, ნუ მომრევ
ღილღოველების ხმალსაო“.
ამინ! — ტოროლაც დაჰკივის,
ჰაერში იქნევს მხარსაო;
ეცადე ჭრულო ბერაო,
ნუ სჭამ ქისტების ჯავრსაო,
მაგრამ ერთ დროს კი ცოცხალი
ვერ გადურჩები ძმასაო.
ბერას მის ენა არ ესმის,
გაუდგა ტიტველ მთასაო.
ტოროლას სამეფოს გასცდა,
გაიარა იგი მთანი,
გადაუხვია ფერდასა.
ძირს ჩავიდა, სად ტყე არის.
ერთმა ჩიტმა იჭიკჭიკა,
გააღვიძა ბევრიც სხვანი:
„გამოფრინდით მეგობრებო,
გვითენდება კარგი დარი,
მუშაობას ხელი მივყოთ,
გავაკეთოთ საბუდარი
წკირა, ხავსი და ფოთელი,—
ამ ნაიოათ მისცეს ბანი.
ბერას გული აუტოკდა,
მასაც უნდა საუბარი,
იგრძნო, მის მგზავსი არსება
მათში ერთიც არვინ არის.
მერე მთურად შემოსძახა:
„ჩემი თოფი, ფარი, ხმალი
მიშველიან, მომალხენენ,
გაჭირვების დღეში ძმანი,
გულს სევდას გადამიყრიან,
ვით მეფესა კარგი ყმანი,—
რაც კაცს საფრთხეს იაცილებს,
იგი არის მეგობარი“.
ბერაი მიდის მიმღერის,
ჩიტნი ბანს მისძახიანო,
ფეხზე ბანდული, ტანზედა
ჭრელნი ჩოხანი სცვიანო.
მინამდე მტერთან არ მივა,
თვალით ვერ განიცდიანო.
მღერა გაუშო, ძერამ სთქვა:
„დღეო, იკურთხე მზიანო,
აგერ არხოტიც გამოჩნდა,
სად ჩემ ძმობილთან მივალო,
თამარიძე და მთის ვეფხვნი
ჩემს მისვლას ინატრიანო“.
მიჰმარჯვდა სოფელ არხოტსა,
მწყემსნი საქონელს ჰყრიანო:
„გამარჯვებათ, ხევსურებო,
ჩემნო ერთგულნო ძმიანნო!“
მათც ხევსურულად დალოცეს:
„ხელნიმცა გემართვიანო;
ქვე, შენი კარგი ყოფნაი
სულ ყველას გვიხარიანო;
არწივო მაღლის მთისაო,

*) იხილე დამატება, № 20.

ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟავ, შენ სახელიანო,
გელოდით და მაგვიხვედი
არ ერთხელ გვენატრიანო“.
მუდამ კვირა დღეს ხევხურნი
ერთ ალაგს იკრიბებიან, —
ამას უხმობენ ფიხვანთა, —
საუბარითა სტკბებიან.
ჩიბუხებს სწევენ, ლხინობენ,
ქვის ბაკანკალზე სხდებიან,
მააქვთ ლუდი და არაყი,
დაჭლევენ, შეექცევიან.
ჩამსხდარან იარაღშია,
ქისტებზედ იმუქრებიან.
ამ დროს მოვიდა ბერაი,
ხევხურნი ფეხზე სდგებიან.
ბერამ უთხრა: „გამარჯვება,
მტერნიცა გიმარცხდებიან!“
ადგნენ ყველანი, გამოჰყვნენ
თავიანთ მასპინძელსაო.
„აქა ღვთისა წყალობაი,“ —
სახლში შავიდნენ, თქვესაო;
ყველაზედ თავში ბერაი
ბაკანკალს ჩამოსვესაო;
სტუმარნი და მასპინძელიც
წესისამებრ სხედსაო.
მდნარი ერბო ხინკალი
დიაცთა მაიღესაო;
ლუდითა სავსე ჯიხვები
ხევის ბერს მიართვესაო;
მინამ არ დაამწყალობნა,
არც ჭამეს, არცა სვესაო.
ქუდ მოხდილები უმზერენ,
ლოცულობს ხევის ბერია:
„თამარიძე და ბერაო,

იაპონიის პრინცი **ნაშიმოტო** (მეორ ე მარცხნიდან) და პრინცესსა **იცუკო** (მესამე მარცხნიდანვე)

პრინცი ავსტრიაში იყო, მერე პეტერბუგსაც ეწვია ამბობენ, ავსტრიამა და იაპონიამ კავშირი დასდეს რუსეთის წინააღმდეგ და პრინცი ავსტრიაში ამის გამო იყოო.

ქვე, ბერავ, მახვედ მშვიდობით,
ხელნიმცა გვემართებიან!“
თამარიძე და ბერაი
ერთად გვერდი გვერდ ჯდებიან;
„რასა იქ და როგორ მყევხარ“?
ერთ-ურთსა ეკითხებიან.
იწვივა თამარიძემა, —
იმ დღეს მას ესტუმრებიან.
თამარიძემ თქვა:“ ვეფხვებო,
ავდგეთ, წავიდეთ ჩვენსაო,
ნურავინ მეტყვით უარსა,
თქვენსა და ჩემსა მზესაო.
ხვალ წასვლა მწადის ღილღოსა,
ლხინი რამ ვნახოთ დღესაო,
გზა დაგვილოცეთ, ვაჟებო,
მე და ჩემს ძმობილ ბერსაო“.
ღმერთმა გიმართოთ ხელია;
შინ, გარეთ, ჭირში და ლხინში
მარჯვენა გქონდეთ მძლეავია;
გწყალობდეთ წმინდა გიორგი,
ხახმატის ჯვარი ჩვენია;
სადც გაგიჭირდეთ, გიშველონთ,
მათ დაგიმარცხონ მტერია“.
კუკუამ სხვა ლოცვანიც სთქვა,
უფრო კარგი და ბევრია;
„ამინ, ამინ!“ გუგუნებენ
აქ მყოფნი მეზობელნია.
ხევის ბერს ძალიან მადლობს
ეს ჩვენი მასპინძელია;
„დიდ ხანამც იუბნებს
ეგ ენა, პირი შენია“.
როგორც კუკუა ილოცდა,
სხვანიც ამისი მთქმელია;
ერთ-ურთს ჰლოცვიან, შეიქნა
სმა-ჭამა გემრიელია.
როს მასპინძელი გულუხვობს,
სტუმრისთვის მოსალხენია;
კარგნი, ჭკვა-დინჯნი სტუმარნი
მასპინძლისათვის მზენია.
ხევსურთ სადილი გაგრძელდა
თამარიძესთან იმ დღესა;
ჩონგურზედ ლექსებს იტყვიან,
ლუდსა და არაყს სმიდესა;
თამარიძეს და ბერასა
ქებასა შეასხმიდესა.
საღამომდისინ ხევსურნი
ამ შექცევაში იყნესა;
სუფრა აიღეს, ვაჟკაცთა
სიტყვანი მაირიგესა:
„ფრთხილად იყავით, ვაჟებო“,
ერთ-ურთი დაარიგესა:
„მუქარა შემოუთვლიათ,
ერიდეთ ღილღველ ქისტებსა“.
მასპინძელს ეთხოვებიან,
მადლობას გადუხდიდესა.
ბერაი და თამარიძე
საძილეთ მოიცლიდესა.
ორშაბათს დილას ორივემ
ადრიან გაიღვიძესა,
ხალი და ძველი დუმაი
გუდებით აიკიდესა;
საითაც ევლოთ ღილღოსკენ,
იმავე გზითა ვლიდესა.
იმ ჟამათ ქისტნი ღილღველნი
მას კოშკში იკრიბებიან,
თამარიძეს და ბერასა
სიდამაც ემუქრებიან.
მათი ბელადის ლაშქარი
დღეს ან ხვალ აიყრებიან:
აი დღეს წავალთ, აი ხვალ,
მარჯვე დროს ელოდებიან.
ვერც დღეს წავლიან, ვერც ხვალა,
ვეჭობ, — ტყუილად სცდებიან;
მარცხი დღე უახლოვდებათ,
მარჯვე დროც ეკარგებიან;
თათბირი მრუდე არა სწამსთ,
სწორზედაც შესცილდებიან;
მიჰკიბ-მოჰკიბვენ, ურჩობენ,
უკმაყოფილოდ რჩებიან;
ყოვლნი ჩემობენ სიბრძნესა,
უფროსს არ ჰყაბულდებიან.
ესე ვითარი რჩევანი
როს ასე გაგრძელდებიან, —
ამ გვარნი მოთათბირენი
უცილოდ დამარცხდებიან:
ვითარც მაღალ მთას მდელოსა
ზამთარნი მოესწრებიან.

შემდეგი იქნება.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. ს. აგლაძე** ელექტრო-მბეჭდავი **მ. დ. კიკნაძისა**, ტფილისი, ელისაბედის ქ., № 17.